





ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ენერგეტიკის სექტორის მ ი მ ო ხ ი ღ ვ ა



მედიის ექსპერტიზის
სამსახური და სოციალური პოლიტიკის მმართველობის ხელმძღვანელი

ნოემბერი 2020

შესავალი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) მიმოიხილა ენერგეტიკის სექტორის მიმდინარე განვითარება და არსებული გამოწვევები, 2020 წლის ნოემბრის მდგომარეობით.

IDFI სექტორში მიმდინარე ტენდენციებს პერიოდულად მიმოიხილავს, ვინაიდან ენერგეტიკის სექტორი ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სექტორია, რომელიც ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასევე, ენერგოდამოუკიდებლობა საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად და ამავედროულად შესაძლებლობად რჩება.

ქვეყანას გააჩნია ჰიდრორესურსების მნიშვნელოვანი პოტენციალი და გენერაცია ყოველწლიურად ზრდადია. თუმცა, არასაკმარისია მოხმარების დასაბალანსებლად. არსებული დეფიციტის გათვალისწინებით სტრატეგიული ინვესტიციების შეფერხება ამცირებს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას და მნიშვნელოვანი გამოწვევაა სექტორისათვის.

ელ. ენერჯის მოხმარება მკვეთრად დამოკიდებულია ეკონომიკის ზრდაზე. მნიშვნელოვანია შეფასდეს COVID-19 პანდემიის ზეგავლენა მოხმარების დინამიკაზე და სექტორის მოსალოდნელი განვითარება პოსტპანდემიურ პერიოდში.

მოსახლეობა და ბიზნესი, პირდაპირი მომხმარებლები და აფხაზეთი ელ. ენერჯის მსხვილ მომხმარებლებად კლასიფიცირდებიან. ბოლო წლებში ტურიზმის ზრდამ კიდევ უფრო მეტად გაზარდა მოთხოვნა ელექტროენერჯიაზე რაც მოსახლეობის და ბიზნესის ელ. ენერჯის მოხმარებაზე აისახება. მსხვილი მომხმარებლების ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოები არიან და საგარეო ვაჭრობის დინამიკა ელ. ენერჯის მოხმარებაზე აისახება. აფხაზეთში ელ. ენერჯის მოხმარება მაღალი ზრდით გამოირჩევა და ერთ სულ მოსახლეზე 3-ჯერ აჭარბებს ელ. ენერჯის მოხმარებას დანარჩენ საართველოში.

ბოლო წლების განმავლობაში ელექტროენერჯის იმპორტი აჭარბებს ექსპორტს და ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინებას უწყობს ხელს. იმპორტის ზრდა ამცირებს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას და მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. არსებობს არგუმენტები, რომ იმპორტირებული ელ. ენერჯის ფასი ნაკლებია, განახლებადი ენერჯის პროექტების განვითარების შედეგად მიღებულ ფასზე. თუმცა, აღნიშნული არ ითვალისწინებს ენერგოდამოუკიდებლობის ღირებულებას ქვეყნისათვის.

ძირითადი მიგნებები: ენერგეტიკის სექტორი მცირდება

- ელ. ენერჯის გენერაცია წ.წ. 5.8%-ით შემცირდა 2020 წლის 11 თვეში. თბოსადგურების გენერაცია მნიშვნელოვნად არ შეიცვალა (-2% წ.წ.), თუმცა განახლებადი ენერჯის წყაროების გენერაცია წ.წ. -7%-ით არის შემცირებული ანალოგიურ პერიოდში.
- COVID-19 პანდემიამ მკვეთრად შეამცირა ელ. ენერჯის მოხმარება, (-11.2% წ.წ.) 2020 წლის 11 თვეში. რაც შემცირებული ეკონომიკური აქტივობით, კრიპტონდუსტრიის მკვეთრი ვარდნით და თითქმის განულებული ტურიზმით შეიძლება აიხსნას. შემცირებამ -5.7% შეადგინა აფხაზეთის გაზრდილი ელ. ენერჯის მოხმარების გათვალისწინებით.
- აფხაზეთის მზარდმა ენერგომოხმარებამ ენგურჰესის გენერაციის 88% შეადგინა 2020 წლის 11 თვეში. წ.წ. +24%-ით გაიზარდა და რეკორდულად მაღალი იყო აფხაზეთის ელ. ენერჯის მოხმარება (2.2 ტვტ. სთ.). აღნიშნული, გარკვეულწილად გამოწვეულია ენგურჰესის გენერაციის შემცირებით მიმდინარე წელს.
- რუსეთიდან ელ. ენერჯის იმპორტმა ბოლო ოთხი წლის მაქსიმუმს მიაღწია და მთლიანი იმპორტის თითქმის ნახევარი შეადგინა. აღნიშნულს ხელს უწყობს აფხაზეთის ზრდადი ელ. ენერჯის მოხმარება.
- ელ. ენერჯის დეფიციტის დასაბალანსებლად 38 მლნ. აშშ დოლარის წმინდა იმპორტი დაგჭირდა 2020 წლის 10 თვეში და წლის ბოლომდე მოსალოდნელია 60 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდოს. შეინიშნება მცირედით გაუმჯობესება, (-3 მლნ. აშშ დოლარი) 2019 წელთან შედარებით. თუმცა ელ. ენერჯის დეფიციტი მაღალია, რაც ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინებას უწყობს ხელს.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორში ოთხჯერ შემცირდა 2020 წლის 9 თვის განმავლობაში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. COVID-19 პანდემია ძირითად დაბრკოლებად მოიაზრება, თუმცა დღეისათვის ფაქტიურად არ არსებობს განახლებადი ენერჯის წამახალისებელი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობდა ინვესტიციების მოზიდვას და შეამცირებდა იმპორტზე დამოკიდებულებას.
- ესკოს საბითუმო ფასები ზრდადია. ელ. ენერჯის საბითუმო ფასები საშუალოდ 23%-ით გაიზარდა 2020 წლის 10 თვის განმავლობაში, რაც ნაწილობრივ გაცვლითი კურსის გაუფასურებით და შედარებით დაბალფასიანი ელ. ენერჯის წყაროების გენერაციის შემცირებით არის გამოწვეული.
- ენგურის მოსალოდნელი შეჩერება დამატებით 0.6 ტვტ.სთ.-მდე ელ. ენერჯის დეფიციტს შექმნის 2021 წელს. თუმცა, მომდევნო წლებში გენერაცია მოსალოდნელია გაიზარდოს. 2021-2025 წლებში მოხმარება მოსალოდნელია საშუალოდ 5.1%-ით გაიზარდოს, გენერაციის 4.8%-ით ზრდის ფონზე და 2020 წლის დაბალი გენერაციის გათვალისწინებით. ელ. ენერჯის დეფიციტი 7.5%-ით გაიზრდება აღნიშნულ პერიოდში და 1.9 ტვტ. სთ. მიაღწევს 2025 წელს.

გენერაცია: განახლებადი ენერჯის წილი 77%-მდე შემცირდა

ელ. ენერჯის ჯამური გენერაცია წ.წ. 5.8%-ით შემცირდა 2020 წლის 11 თვეში. გენერაცია წლის დასაწყისიდან მცირდებოდა და შემცირების პიკს ივნისის თვეში მიაღწია (-17% წ.წ). მომდევნო თვეებში დაიწყო აღდგენა და სექტ-ოქტ თვეში +6.6%-ით და +6.3%-ით გაიზარდა წლიურად, თუმცა -6%-მდე შემცირდა ნოემბრის თვეში.


გენერაციის კლებასთან ერთად საქართველოში განახლებადი ენერჯის წილი მცირდება. თბოსადგურების გენერაცია ჯამურად 1.7%-ით არის შემცირებული გასულ წელთან შედარებით და 2.3 ტვტ.სთ. შეადგინა 2020 წლის 11 თვეში, თუმცა განახლებადი წყაროების გენერაცია უფრო მეტად (-7%) არის შემცირებული ანალოგიურ პერიოდში, რაც ძირითადად ცუდი წყალმოდინების, დაბალი მოთხოვნის და ექსპორტის შესაძლებლობის შემცირებამ განაპირობა. განახლებადი ენერჯის წილი 77%-მდე შემცირდა (-1 პ.პ.) და წლის ბოლომდე მოსალოდნელია 76% შეადგინოს ჯამურ გენერაციაში.

ენგურის წილი ჯამურ გენერაციაში მცირდება და 25% შეადგინა 2020 წლის 11 თვეში, რაც 4%-ით და 9%-ით ნაკლებია 2019 და 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ჯამურად მარეგულირებელი ჰესების გენერაციამ 3.8 ტვტ. სთ. შეადგინა 2020 წლის 11 თვეში და 18%-ით შემცირდა, წინა წელთან შედარებით.

სეზონური, წყალმოდინებაზე დამოკიდებული ჰესების გენერაცია მკვეთრ ზრდას აჩვენებს, შუახევი ჰესის ხარჯზე. აღნიშნული ჰესების ჯამურმა გენერაციამ 3.4 ტვტ. სთ. შეადგინა 2020 წლის 11 თვეში, რაც +8%-ით მეტია 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შესაბამისად. აღნიშნული ძირითადად შუახევის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებიდან გამომდინარეობს.


მცირე ზომის ჰესების რაოდენობა გაზრდილია, თუმცა გენერაცია იკლებს. ოთხ ახალ სიმძლავრის ჰესთან ერთად 71 მცირე ზომის ჰესის ჯამურმა გენერაციამ 0.6 ტვტ. სთ. შეადგინა 2020 წლის 11 თვეში, რაც 3.3%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე, მაგრამ მოსალოდნელია გაიზარდოს მომავალ წელს, ახალი ჰესების ხარჯზე და მიმდინარე პერიოდში აშენებული ჰესების სრული დატვირთვით ამუშავების შემთხვევაში.

გრაფიკი 1: ელ. ენერჯის გენერაცია (ტვტ. სთ.) გენერაციის წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო, IDFI

გრაფიკი 2: ელ. ენერჯის გენერაციის %-ული ცვლილება წ.წ. (კუმულატიური, თვეების მიხედვით) 2020 წელს



მოსმარება: COVID-19 პანდემიამ მკვეთრად შეამცირა ელ. ენერჯის მოხმარება

ელ. ენერჯის მოხმარება წ.წ. -11.2%¹-ით შემცირდა 2020 წლის 11 თვეში. ინდუსტრიული მწარმოებლების ელ. ენერჯის მოხმარება მკვეთრად შემცირდა და 2.2 ტვტ. სთ. შეადგინა (-27% წ.წ.) ანალოგიურ პერიოდში. მოსახლეობის და ბიზნესის მოხმარება უფრო ნაკლებად შემცირდა და 6.5 ტვტ. სთ. შეადგინა (-4.2% წ.წ.). დაბალი მოხმარება ძირითადად განაპირობა შემცირებულმა ეკონომიკურმა აქტივობამ, კრიპტონდუსტრიის მკვეთრმა ვარდნამ და თითქმის განულებულმა ტურიზმმა.


რეკორდულად მაღალი იყო აფხაზეთის ელ. ენერჯის მოხმარება და 2.2 ტვტ. სთ. შეადგინა (+24% წ.წ.) 2020 წლის 11 თვეში. აღნიშნული ენერჯის მთლიანი გენერაციის 88%-ს შეადგენდა ანალოგიურ პერიოდში.

აფხაზეთში ელ. ენერჯის ერთ სულზე მოხმარება 3-ჯერ აჭარბებს მოხმარებას დანარჩენ საქართველოში. აფხაზეთი წლის განმავლობაში 8,155² კვტ. სთ. ელ. ენერჯიას მოიხმარს ერთ სულ მოსახლეზე 2020 წლის განმავლობაში. დანარჩენ საქართველოში ელ. ენერჯის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 2,542 კვტ. სთ. შეადგენდა. აფხაზეთის მაღალი მოხმარება ძირითადად „უფასო“ ელ. ენერჯით და კრიპტომინინგით შეიძლება აიხსნას.


¹ -5.7% აფხაზეთის ელ. ენერჯის მოხმარების გათვალისწინებით.

² აფხაზეთის მოსახლეობა აღებულია 300,000

გრაფიკი 3: ელ. ენერჯის მოხმარების ზრდა (% წ.წ.) 2020 წელს



გრაფიკი 4: ელ. ენერჯის მოხმარება 11თ 2020




წყარო: ესკო, IDFI

ექსპორტ-იმპორტი: რუსეთიდან იმპორტი იზრდება, თურქეთი კვლავ პირველი საექსპორტო ბაზარია


ელ. ენერჯის დეფიციტი შემცირდა 1.1 ტვტ. სთ-მდე (-4.7% წ.წ.), 2020 წლის 11 თვეში. დეფიციტის შემცირებას ხელი შეუწყო იმპორტის 10%-ით შემცირებამ 1.3 ტვტ. სთ-მდე. შემცირებულია ექსპორტი (-37% წ.წ.) და 0.2 ტვტ. სთ. შეადგინა, თუმცა 2019 წლის დაბალი საბაზო ეფექტიდან გამომდინარე, აღნიშნულმა მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა დეფიციტზე.

რუსეთიდან ელ. ენერჯის იმპორტმა ბოლო ოთხი წლის მაქსიმუმს მიაღწია (37%) 2020 წლის 11 თვეში. აღნიშნულს ხელს უწყობს აფხაზეთის ზრდადი ელ. ენერჯის მოხმარება. ხოლო თურქეთი ნომერ პირველ საექსპორტო ბაზრად რჩება (45%), თუმცა მკვეთრად შემცირებული ექსპორტის მოცულობის ფონზე.

გრაფიკი 5: ელ. ენერჯის იმპორტი (ტვტ. სთ.)



გრაფიკი 6: ელ. ენერჯის ექსპორტი (ტვტ. სთ.)




წყარო: ესკო, IDFI

ელ. ენერჯის საბითუმო ფასები: აპრ-აგვ საბითუმო ფასები წ.წ. 32%-ით გაიზარდა


ელ. ენერჯის დეფიციტის დასაბალანსებლად 38 მლნ. აშშ დოლარის წმინდა იმპორტი დაგვჭირდა 2020 წლის 10 თვეში. შეინიშნება მცირედით გაუმჯობესება, (-3 მლნ. აშშ დოლარი) 2019 წელთან შედარებით. ასევე, საექსპორტო ფასები უახლოვდება იმპორტის ფასებს, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ექსპორტის მცირე მოცულობა. საერთო ჯამში, ჩვენი ექსპორტირებული ელ. ენერჯის ღირებულება კვლავ ჩამოუვარდება იმპორტის ფასს და წლის ბოლომდე მოსალოდნელია 60 მლნ. აშშ დოლარი დაგვჭირდეს დეფიციტის დასაბალანსებლად.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორში ოთხჯერ შემცირდა 2020 წლის 9 თვის განმავლობაში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. COVID-19 პანდემია ძირითად დაბრკოლებად მოიაზრება, თუმცა დღეისათვის ფაქტიურად არ არსებობს განახლებადი ენერჯის წამახალისებელი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობდა ინვესტიციების მოზიდვას და შეამცირებდა იმპორტზე დამოკიდებულებას.

გრაფიკი 7: ელ. ენერჯის ექსპორტის და იმპორტის მოცულობა (მლნ. \$) და ფასები (აშშ დოლარი / კვტ. სთ.)



გრაფიკი 8: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




წყარო: საქსტატი, ესკო, IDFI

აპრ-აგვ პერიოდში საბითუმო ფასების საშუალო ზრდამ წ.წ. 32% შეადგინა 2020 წელს. საბითუმო ფასები ბოლო ხუთი წლის მაქსიმალურ მაჩვენებლებზეა და ზრდა აღნიშნულ პერიოდში ძირითადად ორნიშნა მაჩვენებელზეა.

შედარებით იაფიანი ელ. ენერჯის წყაროების გენერაციის შემცირება ზრდის საბითუმო ფასებს ელ. ენერჯიაზე. ელ. ენერჯის საბითუმო ფასები საშუალოდ 23%-ით გაიზარდა 2020 წლის 10 თვის განმავლობაში, რაც ნაწილობრივ გაცვლითი კურსის გაუფასურებით და ენერჯის გენერაციის შემცირებით არის განპირობებული.

გრაფიკი 9: ესკოს საბალანსო ფასი თვეების მიხედვით (თეთრი / კვტ. სთ.)




წყარო: ესკო, IDFI

სექტორის მოსალოდნელი განვითარება: დეფიციტი გაიზრდება

ელ. ენერჯის მოხმარება ეკონომიკურ ზრდაზეა დამოკიდებული. კორელაცია ეკონომიკურ ზრდასა და ელ. ენერჯის მოხმარების ზრდას შორის (აფხაზეთის გამოკლებით) 80%-ს აღწევს. 2020 წელს ელ. ენერჯის მოხმარება 11%-ით მცირდება და რეალური მშპ-ს შემცირება მოსალოდნელია -6%-მდე აღნიშნულ პერიოდში.

გრაფიკი 10: ელ. ენერჯის მოხმარება (ტვტ. სთ.), მოხმარების და რეალური მშპ-ს ზრდა (%)




წყარო: ესკო, IDFI

შენიშვნა: *მოხმარების ზრდა აფხაზეთის გამოკლებით

ელ. ენერჯის მოხმარება მოსალოდნელია 2022 წლამდე ვერ დაუბრუნდეს 2019 წლის დონეს. 2021-2025 წლებში მოხმარება მოსალოდნელია საშუალოდ 5.1%-ით გაიზარდოს, გენერაციის 4.8%-ით ზრდის ფონზე და 2019 წლის დაბალი გენერაციის გათვალისწინებით. ელ. ენერჯის დეფიციტი 7.5%-ით გაიზრდება აღნიშნულ პერიოდში და 1.9 ტვტ. სთ. მიაღწევს 2025 წელს.

ენერჯის მოსალოდნელი შეჩერება დამატებით 0.6 ტვტ.სთ.-მდე ელ. ენერჯის დეფიციტს შექმნის 2021 წელს. ენერჯის გამოუმუშავების გათვალისწინებით 4 თვიან პერიოდში (თებ-მაისი) დანაკლისი 0.6 ტვტ. სთ. იქნება, რაც ნაწილობრივ დაკომპენსირდება არსებული ჰესების 2019 წლის გამოუმუშავების დონემდე ზრდით და შუახევის ჰიდროსადგურით. ჯამურმა გენერაციამ მოსალოდნელია 11.5 ტვტ. სთ. შეადგინოს აღნიშნულ პერიოდში და დეფიციტი 1.6 ტვტ. სთ. მიაღწევს, რაც შესაძლოა დაკომპენსირდეს იმპორტის ან თბოსადგურების გენერაციის ზრდის ხარჯზე.

გრაფიკი 11: ელ. ენერჯის ბალანსი (ტვტ. სთ.)



წყარო: IDFI

რეკომენდაციები

- **ზრდადი დეფიციტის გათვალისწინებით, მთავრობამ დროულად უნდა შეიმუშაოს ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმები**

გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების შემდეგ, დღეისათვის პრაქტიკულად არ არსებობს მექანიზმი, რომელიც წახალისებს ინვესტიციებს სექტორში. მნიშვნელოვანია Feed-in tariff და სხვა ტიპის ინსტრუმენტების შემუშავება და დანერგვა, რომელიც ინვესტორებს შესთავაზებს გარანტირებულ ფასს და დაიცავს გაცვლითი კურსის რისკებისგან.

- **თავისუფალი ბაზრის მექანიზმების იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ზრდას**

ენერგოდამოუკიდებლობა მცირდება მეზობელი ქვეყნებიდან ელ. ენერჯის იმპორტის ზრდის გათვალისწინებით. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ბაზრის დერეგულაცია და ელ. ენერჯიაზე სამომხმარებლო ფასის ზრდის შემთხვევაში საჭიროა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პირდაპირი ფორმით სუბსიდირება.

- **უნდა გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა განახლებად ენერჯიაზე და ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე**

საზოგადოების განათლების ხელშეწყობა განახლებადი ენერჯის შესახებ ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიების ათვისებას.

- **საჭიროა განახლებადი ენერჯის წახალისება საოჯახო მეურნეობებში და მცირე ბიზნესში დღგ-სგან განთავისუფლებით ან ენერგოეფექტური სესხებით.**

ნეტო აღრიცხვის მექანიზმი საშუალებას აძლევს მცირე მომხმარებლებს აწარმოონ ელექტროენერჯია. თუმცა, მიკროელექტროსადგურების მაღალი ღირებულებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია აღნიშნული სადგურების ხელშეწყობა საგადასახადო შეღავათებით და ენერგოეფექტური სესხით.

- **უნდა შემუშავდეს სექტორის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც ენერგოეფექტურობის ზრდაზე და განახლებადი ენერჯის ხელშეწყობაზე იქნება ორიენტირებული.**

ამ დროისათვის არ არსებობს გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებს და წარმოადგენს სექტორის განვითარების შესაძლო სცენარებს. აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან დღეისათვის შეჩერებული ჰიდროელექტროსადგურების პროექტების ხელახალი განხილვა და განხორციელების ხელშეწყობა. ასევე, ქარისა და მზის ალტერნატიული პროექტების წარდგენა ინვესტორებისათვის.



შვედეთი

Sverige

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.